თვითმმართველი ქალაქის –ქუთაისის მერიის საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმი
№1

ქ. ქუთაისი 24 სექტემბერი 2013 წელი

საკონკურსო კომისიის სხდომას ესწრებოდნენ:

თენგიზ თოფურიძე	– ქ. ქუთაისის მერის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელი, კომისიის თავმჯდომარე.
ზურაბ გაბიძაშვილი	–ქ. ქუთაისის მერიის სახელმწიფო შესყიდვებისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი, კომისიის თავმჯდომარის მოადგილე.
ზურაბ ზამბახიძე	– ქ. ქუთაისის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარებისა და კეთილმოწყობის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი, კომისიის წევრი.
კახაბერ დალაქიშვილი	- ქალაქ ქუთაისის მერიის საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი, კომისიის წევრი.
ირაკლი გიორგაძე	– ქ. ქუთაისის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის სამართლებრივ საკითხთა განყოფილების უფროსი, კომისიის წევრი.

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი : კონკურსის მეშვეობით ქალაქ ქუთაისში ზოგიერთ ქუჩაზე ღვარსადენი ქსელის მოწესრიგებისა და გზის საფარის მოწყობისათვის (10 ობიექტი) საჭირო საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის (საკონკურსო წინადადების ფასი 3000 ლარი) შესახებ.

მოისმინეს: საკონკურსო კომისიის წევრმა ზურაბ ზამბახიძემ კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგთან დაკავშირებით – საკონკურსო განცხადების და საკონკურსო დოკუმენტაციის - ქალაქ ქუთაისში ზოგიერთ ქუჩაზე ღვარსადენი ქსელის მოწესრიგებისა და გზის საფარის მოწყობისათვის (10 ობიექტი) საჭირო საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის (საკონკურსო წინადადების ფასი 3000 ლარი) შესახებ.

აზრი გამოთქვეს: საკონკურსო კომისიის თავმჯდომარემ: თენგიზ თოფურიძემ.

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ: ზურაბ გაბიძაშვილმა.

კომისიის წევრებმა: ზურაბ ზამბახიძემ და ირაკლი გიორგაძემ.

დაადგინეს:

1. დამტკიცდეს საკონკურსო კომისიის მიერ, ქალაქ ქუთაისში ზოგიერთ ქუჩაზე ღვარსადენი ქსელის მოწესრიგებისა და გზის საფარის მოწყობისათვის (10 ობიექტი) საჭირო საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის სახელმწიფო შესყიდვისათვის წარმოდგენილი განცხადების და საკონკურსო დოკუმენტაციის პროექტი.
2. კონკურსი ჩატარდეს 2013 წლის 27 სექტემბერს 12:30 საათზე.

3. საკონკურსო წინადადებების მიღების ვადათ განისაზღვროს 2013 წლის 27 სექტემბრის 10:00 საათიდან 12:00 საათამდე პერიოდი.

4. საკონკურსო წინადადებების მიღების ადგილად განისაზღვროს თვითმმართველი ქალაქის–ქუთაისის მერიის სახელმწიფო შესყიდვების სამსახური (მის: 4600, ქ.ქუთაისი, შ. რუსთაველის გამზ. №3, მე–3 სართული, ოთახი №323).

5. საკონკურსო განცხადება (თანდართული დოკუმენტებით) გამოქვეყნების მიზნით გაეგზავნოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მის ოფიციალურ ვებ–გვერდზე.

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე: თენგიზ თოფურიძე

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე: ზურაბ გაბიძაშვილი

კომისიის წევრები:

ზურაბ ზამბახიძე

კახაბერ დალაქიშვილი

ირაკლი გიორგაძე